



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
25 იანვარი, 2016


ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, გრანტით დაფინანსებული C-ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატის იმპორტის გამორიცხვით, 2015 წელს იმპორტი წლიურად 15.3%-ით შემცირდა და 7.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტი 23.0%-ით შემცირდა და 2.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 11.4%-ით გაუმჯობესდა და 5.1 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. წლიურ ბაზაზე, ევროკავშირის მიმართულებით ექსპორტი გაიზარდა 3.6%-ით და მთლიანი ექსპორტის 29%-ი შეადგინა, დსთ-ს მიმართულებით ექსპორტი შემცირდა 42.7%-ით (მთლიანის 38%), ხოლო დანარჩენ ქვეყნებში შემცირდა 7.1%-ით (მთლიანის 33%). ექსპორტის ვარდნა ძირითადად განპირობებული იყო მსუბუქი ავტომობილების რე-ექსპორტის 65.3%-იანი შემცირებით.


2015 წელს, 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: მედიკამენტები (+136.9% წ/წ, C-ჰეპატიტის პრეპარატის ჩათვლით), ნავთობი (-28.4% წ/წ), ავტომობილები (-35.5% წ/წ), ნავთობის აირები (+13.8% წ/წ) და სპილენძი (+25.8% წ/წ). ამასთან, წლიურ ბაზაზე, იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან გაიზარდა 6.3%-ით (მთლიანის 33%), დსთ-ს ქვეყნებიდან შემცირდა 7.3%-ით (მთლიანის 25%), ხოლო დანარჩენი ქვეყნებიდან შემცირდა 19.9%-ით (მთლიანის 42%). ამასთან, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის დაბალი ფასების შედეგად, ნავთობის იმპორტზე დანახოვმა 2015 წელს 260.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სავალუტო აუქციონი: 2016 წლის 22 იანვარს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის მხარდასაჭერად სავალუტო აუქციონზე 20 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ამასთან, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში წინა დღესთან შედარებით 1%-ით გაუფასურდა. ეს წელს რიგით მე-2 სავალუტო აუქციონი იყო, წინა აუქციონზეც 20 მლნ აშშ დოლარი გაიყიდა.


ექსპორტი პროდუქციის მიხედვით, 2015 წელი




იმპორტი პროდუქციის მიხედვით, 2015 წელი



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2015 წელი



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2015 წელი



წყარო: საქსტატი

ეკონომიკური ინდიკატორები

	2015	2014	2013
მშპ (%-ლი ცვლილება)	3.0%***	4.6%	3.3%
მშპ ერთ სულზე (ppp)*	...	9,209	8,526
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,676	3,600
მოსახლეობა (მლნ)	3.7**	4.5	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	4.9%	2.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.5	2.7	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	10.6%	5.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.0%	2.6%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	35.5%	34.7%


წყარო: ოფიციალური მონაცემები

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

**ალყრის წინასწარი შედეგები

*** 2015 წლის 11 თვის მონაცემი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 3Q15-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შედეგებით

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2015-2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №22 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S BB- სტაბილური დამატებული მაისი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 პოზიტიური დამატებული მარტი-2015	FitchRatings BB- სტაბილური დამატებული ოქტომბერი-2015
--	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 700 მლნ ლარის (287.9 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 182-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.3 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 9.87% შეადგინა (უცვლელი წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 20 იანვარს 5-წლიანი 10.0 მლნ ლარის (4.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 14.772% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 27 იანვარს, სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას



ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ევროობლიგაციები (GEBGG) დაიხურა 5.5%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 103.0 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით - 99.5 (-0.8% წინა კვირასთან შედარებით), 7.3%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 100.9 ფასად (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 7.6%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 103.1 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 6.2%-იანი შემოსავლიანობით.


	ადგილობრივი ობლიგაციები				ევროობლიგაციები			
	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 05/17	GEBGG 07/17	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	6*	20	15	10	250	400	500	500
გამოშვების თარიღი	11/15	03/15	05/15	09/14	მაი-2012	ივლ-2012	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	11/17	03/17	05/17	09/17	მაი-2017	ივლ-2017	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	15.000**	9.500	9.500	8.750	6.875%	7.750%	6.875%	7.750%
Fitch/S&P/ Moody's	BB-/	-/-	-/-	-/-	BB-/B+	BB-/BB-/Baa3	BB-/BB-/Baa3	BB-/BB-/
საშუალო ფასი, აშშ \$	100.0*	99.0	100	98.0	99.5	103.0	103.1	100.9
საშუალო პროცენტი	15.0	10.1	9.5	9.7	7.3	5.5	6.2	7.6
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	545.8	454.9	466.1	607.5

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში


** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%)

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ევროობლიგაციების ბაზარი



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Baa3	103.1	6.2	466.1
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BBB-/Baa3	90.1	6.3	450.7
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/	120.2	1.2	-237.0
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Baa1	101.8	3.5	318.3
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Baa1	113.5	3.5	201.8
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	118.0	3.4	188.3
როსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Baa1	102.9	4.2	287.0
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	105.4	4.4	297.4

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 17.20 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+1.47% წინა კვირასთან შედარებით და -12.96% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 233 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 16.32 – 17.23 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 42 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე მეტია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 0.13%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 6.20%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.59% შეადგინა.

თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 9.04 აშშ დოლარში (+0.44% წინა კვირასთან შედარებით და -10.50% წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასს გადააჭარბა, US\$ 8.75 – 10.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 11 ათასი აქცია შეადგინა, რაც ნაკლებია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 1.73 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+4.55% წინა კვირასთან შედარებით და +5.18% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 876 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.60 – 1.79 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 96 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.67% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გარიგება არ დადებულია. შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსი არ შეცვლილა და 885.86-ზე შენარჩუნდა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	24.62	973	-15.9%	-23.5%	-21.6%	-23.9%	-20.8%
TBC	TBC	9.04	443	-10.5%	3.4%	-9.6%	-28.3%	-29.4%
Halyk Bank	HSBK	4.11	1,120	-16.2%	-33.9%	-49.6%	-51.7%	-43.3%
KKB	KKB	0.90	359	-37.9%	-68.9%	-69.0%	-76.3%	-72.0%
VTB Bank	VTBR	1.72	11,140	-19.3%	-26.9%	-31.7%	-25.3%	-11.9%
Vozrozhdie nie Bank	VZRZ	6.61	157	-20.9%	-31.2%	-34.4%	-10.4%	13.9%
Sberbank	SBER	4.95	26,733	-16.3%	-16.0%	-6.9%	22.3%	12.8%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
GHG*	GHG	2.47	317	1.6%	nm	nm	nm
Mouwasat	MOUWASAT	27.29	1,365	-14.6%	-13.5%	-32.4%	-17.0%
Fortis	FORH	2.66	1,233	1.3%	4.6%	-9.4%	51.5%
Raffles	RFMD	2.76	1,587	-5.7%	-11.6%	-24.4%	-6.0%
IHH	IHH	1.53	12,612	3.4%	0.1%	-1.3%	11.4%
Bangkok Chain	BCH	0.24	592	-2.1%	20.7%	17.7%	-1.2%
Netcare	NTC	1.91	2,791	-13.7%	-34.7%	-39.4%	-41.9%

წყარო: ბლუმბერგი


შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)
წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკი (TBCB LI)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, აშშ დოლარი (მარცხ. ღერძი)
წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



— მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)
— ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)
წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge